სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/75

ქ. თბილისი 22 მარტი 2019 წ.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 31 იანვრის № 80/ი ბრძანების, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის 2019 წლის 19 მარტის საბჭოს სხდომის №5 ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №01-05-02/07ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული (მოდულური) საგანმანათლებლო პროგრამები:
   1.1. „სამთო ტექნიკოსი“;
   1.2. „სამთო ელექტრომექანიკოსი“;
   1.3. „მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი“.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

დადგენილებას თან ერთვის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე